№ 217
პარასკევი, 2 დეკემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება, შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ.-ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 217
პარასკევი, 2 დეკემბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

კვირას, 4 დეკემბერს, ვეტცელის თეატრში წაკითხულ იქნება

რეფერატი

ბ-ნ განდელის მიერ:

I

თანამედროვე საზოგადოებრივი მოძრაობა და პოლიტიკური პარტიები.

II

შალ. გოგელიასაგან.

კრიტიკა დიალექტიკისა და მარქსის ეკონომიურ მონიზმისა.

ბილეთები ისყიდება „ივერიის“ რედაქციაში, გრ. გოგელიასთან.

დასაწყისი საღამოს 5½ საათზე.

ტფილისის ქალაქის გამგეობა სთხოვს

ბ-ნთ სახლების პატრონთა და იმათ, ვისაც საერთო სახლების დამცველ ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება სურთ, **მობრძანდნენ ქალაქის გამგეობაში საქმის განსახილველად** ყოველ დღე, უქმეებს გარდა, 10-დან 2 საათამდე. (2—1)

სომეხ თათართა განხეთქილების გამო

ტფილისში დღეს ყველა სომეხ-თათართა განხეთქილების შესახებ ფიქრობს და ლაპარაკობს,—არა იმიტომ, ვითომც ყველას სიკვდილისა და გადაბუგვისა ეშინოდეს,—ამისი შიში დღეს არავისა აქვს. 29 აგვისტოს და 22 ოქტომბრის ამბებმა ტყვიის ზუზუნს მშვიდობიან მოქალაქის ყურიც კი შეაჩვია; მაგრამ დღეს თუ სომეხ-თათართა ურთიერთობას ყოველი ქართველი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, ამისი მიზეზი ის არის, რომ ეს განხეთქილება ჩვენთვის, ქართველებისთვის, ორკეცად საზარელი და საზარალოა.

საზარელია იმიტომ, რომ აქ ჩვენთან და ჩვენ მეზობლად ორივე მხრივ უდანაშაულო სისხლი იღვრება,—ხოცვა-ჟლეტის მეთაურები განზე რჩებიან უვნებლად და მათის წაქეზებით და მათის ქადაგების გავლენით მეზობელზე ამხედრებული უბრალო ადამიანი კი იხოცება. ადამიანური გრძნობა გვავალებს, ხელი შევუწყოთ სისხლის ღვრის მოსპობას, მის მეთაურების და წამქეზებლების გამონახვას და მათი მოქმედების გამომჟღავნებას.

საზარალოა იმიტომ, რომ ამ განხეთქილების გამო დროებით შესწყდა ჩვენში, ქართველებში, პოლიტიკური ცხოვრება, რომ ყოველ მიმართულების პარტია იძულებული შეიქმნა თავის პირდაპირ საქმეზე დროებით ხელი აეღო და ამ საქმეში ჩარეულიყო. ამიტომ ყველა ქართველი, მიმართულების განურჩევლად, გულწრფელად ცდილობს და ნატრობს ამ ხოცვა-ჟლეტის მოსპობას. და აქვს კიდეც უფლება მოსთხოვოს ორივე მოქიშპე ერებს, აქ, ტფილისში, იარაღის დაყრა და ხოცვა-ჟლეტის მოსპობა.

სხვაგან მომხდარ ამბების გამო რამე ანგარიშები გასასწორებელი თუ აქვთ ერთმანეთში, ეს ანგარიშები აქ, ჩვენში, არ უნდა გაასწორონ. ვინც უნდა იყოს სისხლის ღვრაში მონაწილეობის მიმღები, ჩვენთვის სულ ერთია,—ჩვენში ამის ჩამდენი ყოველი ადამიანი ჩვენის პოლიტიკურ განვითარების ხელის შემშლელი და ამიტომ ჩვენი პოლიტიკური მტერია.

ასე და მხოლოდ ასე შეგვიძლიან შევხედოთ სომეხ-თათართა განხეთქილებას ტფილისში. ჩვენ ჯერჯერობით ვერ ვიკისრებთ აქ ამ ორი ერების გასამართლებას, ზოგს ბარბაროსი დავუძახოთ, სხვებს კიდევ რევოლუციის მომხრე, როგორც ამას სჩადის ზოგიერთი გაზეთი. არ შეგვიძლიან აგრეთვე მთელი ეს განხეთქილება მთავრობის პროვოკაციით ავხსნათ, ვინაიდან პროვოკაციასაც შესაფერი ნიადაგი სჭირია. ამ რთულ ეროვნულ საკითხის ასე ადვილად და ახლავე გადაწყვეტა არ შეიძლება. ახლა საამისოდ ჯერ დროც არ არის.

ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ იმაზე, რაც კავკასიის სხვა კუთხეებში მომხდარა,—ტფილისში, ჩვენს თვალ-წინ მომხდარი ამბები გვაიძულებს ნეიტრალობა დავიცვათ და ხოცვა-ჟლეტის საქმე მხოლოდ პროვოკატორებისა და ხულიგანების საქმედ გამოვაცხადოთ. საჭიროდ მიგვაჩნია მხოლოდ, ეს პროვოკატორები და ხულიგანები გამოძებნილი და დასახელებული იქმნეს ორივე მხრივ გულწრფელად, ვინაიდან გულწრფელობას შეუძლიან შემდეგისთვის სისხლის ღვრის მოსპობა.

ტფილისს მომხდარი ამბები გვაიძულებს გადაჭრით გამოვაცხადოთ, რომ აქ მხოლოდ მაჰმადიანებს მთელი საქმე ვერ გადაებრალებათ და რომ სიმხეცე მეტ დანაშაულობად ჩაეთვლება იმას, ვისაც თავისი თავი უფრო კულტურულად გამოჰყავს.

ჩვენ ვიცით, რომ ამ წერილსაც ზოგიერთები ისე ახსნიან, თითქო ჩვენ „მრავალ-ტანჯულ“ ერის „წინაამდეგ“ ვილაშქრებოდეთ, მაგრამ ყოველ გონიერ ადამიანისათვის ცხადია, რომ შეუძლებელია ორ მოწინააღმდეგეს შერიგება იქ, სადაც ორივე ერთსა და იმავე სიბნელეს სჩადის და სადაც ერთი მხარე მეორეს ყველაფერში დამნაშავედ და მხეცად და თავის თავს კი ყველაფერში მართლად და კულტურულად სთვლის.

მეტი გულახდილობა და მოწინააღმდეგესი მეტი პატივისცემა!

ხტუმარი.

ბარიკადები ქუთაისში

გაზეთებში ამოვიკითხავდით, რომ 25 ნოემბერს ქუთაისში, თეატრის მახლობლად, ვიღაც უცნობებმა დასჭრეს ლაბინის პოლკის კაზაკი და იარაღი აჰყარესო. ამ გარემოებას გამოუწვევია მღელვარება კაზაკებში, რომელთაც მოინდომეს შურის ძიება და დაჭრილ ამხანაგის სისხლის აღება. ამისთვის მხოლოდ შემთხვევას ეძებდნენ და, აი, 26 ნოემბერს, როდესაც გიმნაზიელთა სასარგებლოდ კლუბში საღამო იყო გამართული და მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი, კლუბში მყოფ გუბერნატორს, ბატონ სტაროსელსკის აცნობეს, ქუჩებში კაზაკები თარეშობენ და მცხოვრებთ იკლებენო. გუბერნატორი მაშინვე წავიდა კლუბიდან საქმის მდგომარეობის შესატყობად. აღმოჩნდა, რომ კაზაკები, მთლად გამოსულიყვნენ და, სხვათა შორის, უბნის ზედამხედველის, ხარბედიასთვისაც დაემიზნებინათ თოფი, მაგრამ, რომ შეუტევიათ პოლიციელებიო, გაუნებებიათ თავი. კაზაკები სროლით წასულან სხვა ადგილებისაკენ.

მეორე დღეს ცენტრალურ საპოლიციო ნაწილში, სადაც იდგნენ ხოპერის პოლკის კაზაკები, უკანასკნელთ დაუნახავთ ეტლში მჯდომი ორი მილიციონერი, რომელთაც კაზაკებისთვის სასაცილოდ თოფი მოუღერებიათ. სანამ კაზაკები მოიფიქრებდნენ რასმე, მილიციონერების კვალიც გაჰქრა და კაზაკებმა, რახან მილიციონერებს ვერ დაეწივნენ, თოფით მიზანში ამოიღეს საოლქო სასამართლოს შიკრიკი—დოლიძე, რომელსაც ოფიცერი ბესარიონ მხეიძე რომ არ მიჰშველებოდა, იქვე გააგორებდნენ.

იმავე დღეს, საღამოს სამ საათზე, როცა კაზაკებს ცხენები მიჰყავდათ რიონზე წყლის დასალევინებლად, წინ შეხვდათ ეტლით მიმავალი ორი შეიარაღებული კაცი. კაზაკები ეცნენ ამათ, უწყალოდ სცემეს და იარაღი აჰყარეს. ამავე დროს კაზაკებმა ცენტრალურ საპოლიციო ნაწილშიაც დაიჭირეს ორი კაცი, სცემეს და იარაღი წაართვეს.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს ქალაქს და ადგილობრივი ორგანიზაციებიც მაშინვე ფეხზე დადგნენ. ყველანი საომრად გამოემზადნენ და საღამოს ხუთ საათზე ყველა უმთავრეს ქუჩებში ბარიკადები გამართეს. მებრძოლი რაზმები ამ ბარიკადებთან გამაგრდნენ. ხალხისა და ბარიკადების რიცხვი თანდათან მატულობდა. ამ დროს გუბერნატორს სამხედრო გამგეობასთან მოლაპარაკება ჰქონდა, რომ კაზაკები დაწყნარებულიყვნენ და ტყუილ-უბრალოდ სისხლის ღვრა არ გამოეწვიათ. ჯერ კიდევ მოლაპარაკება არ გათავებულიყო, რომ ბალახვანის ქუჩაში გამოჩნდა კაზაკთა ნახევარი ასეული ოფიცრებით. კაზაკები შევიდნენ ყ. დათეშიძის სახლში, სადაც დგას რიბალჩენკო, კაზაკთა პოდპოლკოვნიკი. იქვე მივიდნენ გუბერნატორი და ჯარის უფროსი შიშკოვსკი. მებრძოლ ორგანიზაციათა რაზმები თხოულობდნენ, რომ კაზაკები დაშლილიყვნენ. გუბერნატორი მოელაპარაკა შიშკოვსკის და კაზაკებიც დაიშალნენ. მხოლოდ ათიოდე ქვეითი კაზაკი დაეტოვებინათ რიბალჩენკოს სადარაჯოდ და, აი, ამათ ასტეხეს სროლა ბარიკადებზე. ქალაქის ქუჩები ბარიკადებით მოიფინა. ბარიკადები კეთდებოდა სტუდ. პეტროვის ხელმძღვანელობით, რომელსაც, რიონზე ბორნის თოკის გაჭრის დროს, გაღმა მდგომ კაზაკებისაგან გამოსროლილი ტყვია მოხვდა და გული გაუგმირა. პეტროვი მეტად გულწრფელი და მებრძოლი ახალგაზდა იყო. ექიმებს მისი მდგომარეობის შესახებ ჯერ აზრი არ გამოუთქვამთ.—ქალაქში მთელ ღამეს თოფის და რევოლვერების სროლა ისმოდა. მსხვერპლი არ არის.

მეორე დღეს, ბ-ნ სტაროსელსკის მეცადინეობით, კაზაკები ყაზარმებში დაიბინავეს და მოქალაქეებმა კი გადასწყვიტეს, ნამესტნიკთან დეპუტაცია გაგზავნონ ქალაქიდან კაზაკების გასაყვანად.

წითელი დროშა შავი ზღვის ესკადრაზე

(შემდეგი) *)

—მართლა, სალდათები რას ამბობენ, არ გემხრობიან?

—როგორ არა! სანაპირო ბატარეებმა პირობა მოგვცეს,—არ გესვრითო, თუმცა არც სულ გადმოსულან ჩვენს მხარეზე, მაგრამ არც გვეწინააღმდეგებიან. ვინც მოგვემხრო, ჩვენთან არიან, აგერ სდგანან მატროსის ტანისამოსში და სალდათის ქუდით.

მართლაც დავინახე რამდენიმე სალდათი.

— როცა მიტინგიდან მოვდიოდით—განაგრძო მატროსმა,—ჯერ წავედით ბრესტის პოლკში, ვაჩვენეთ ჩვენი მოთხოვნილებები. **) სალდათებმა სიამოვნებით მიიღეს ეს მოთხოვნილებები და შემოგვიერთდნენ. მერე წავედით სხვა პოლკში, იქაც ბევრი მოგვემხრო, მაგრამ ეხლა ბრესტის პოლკი გადაგვიდგა და აღარაფერი არა სჩანს,—ჩვენ წინააღმდეგ არის თუ ჩვენსკენ. ახლა კი ვუცდით, რომ ჩვენი მოთხოვნილებები დააკმაყოფილონ და თანაც ვემზადებით, თუ ბრძოლა დაგვიწყეს, რიგიანი პასუხი გავსცეთ.

ამ დროს გაისმა კაპიტნის ხმა:

— კამანდა ფრონტზე!

მთელი კამანდა, რომელიც შესდგება 400-დე მატროსისაგან, გაიყო ორ ნაწილად. ცოტა ხანს შემდეგ გამოვიდა შმიდტი, ავიდა ზევით ბაქანზე და გამოვიდა ხიდზე, რომელიც შუა გემზე ერთი საჟენის სიმაღლით იყო გაყვანილი თავიდან ბოლომდის; მოიხადა ქუდი და მიმართა მატროსებს:

— ამხანაგებო! ჩვენ ავმხედრდით უსამართლობის, მონობის წინააღმდეგ! ჩვენ ვერ გავუძლებით ჩვენს აუტანელ ჩაგვრას, გლეხების შიმშილით ხოცვას, მუშების ჟლეტას მთელს რუსეთში! ჩვენ ველარ ვუძლებთ იმ გაჭირვებულ ცხოვრებას, რომელშიაც არის ჩაყენებული მთელი რუსეთის ხალხი, და, აი, დღეს ვდგევართ ყველა ამ უსამართლობის წინაშე და ბრძოლას ვუცხადებთ მას. კმარა, რაც აქამდის სტანჯავდნენ და ყვლეფდნენ ჩვენს სამშობლოს ავაზაკები, ჯაშუშები, ოპრიჩნიკები, ჩქარა უნდა მოვუღოთ მათს ბატონობას ბოლო და გავამეფოთ ხალხის ინტერესები. დღეს ის უმანკო მსხვერპლნი, რომლებიც დაიღუპნენ ბრძოლაში, მოითხოვენ შურისძიებას, მოითხოვენ მათი საქმის განგრძობას.

ამხანაგებო! ჩვენ ბედნიერები უნდა ვიყოთ, რომ დიდ ოკეანეში იაპონელებთან ბრძოლის ნაცვლად დავიხოცებით ჩვენს სამშობლოშივე. დავიხოცებით მთელი ხალხისთვის და არა ერთი-ორი მძარცველისთვის. მაშ, ჩვენი უკვე დაწყებული საქმე—ამხედრება უსამართლობის წინააღმდეგ—განვაგრძოთ ბოლომდის უფრო მტკიცედ, უფრო ენერგიულად, უფრო ნაყოფიერად!..

ხომ თანახმა ხართ,—განვაგრძოთ დაწყებული ბრძოლა და აღარ გადავუხვიოთ სიმართლის გზას?

— თანახმა—ვართ! იგრიალა ყველამ, როგორც ერთმა კაცმა. მერე მოიხადეს მატროსებმა ქუდები და მორთეს მწყობრად „ურას“ ძახილი.

შმიდტმა ხელი გაიქნია სიჩუმის ნიშნად; მერე შესძახა:

— მაშ, ახლა ასწიეთ წითელი დროშა და შევფიცოთ, რომ არ ჩამოვუშვებთ მას, სანამ არ გავიმარჯვებთ!

ამ სიტყვებთან ერთად ნელ-ნელა ასწიეს წითელი დროშა.

— „ვფიცავთ“!—იგრიალეს ისევ მატროსებმა და იმათ გრიალს ჩვენი ხმაც შევუერთეთ. ამ დროს იგრიალა ერთმა ზარბაზანმა. ეს იყო სალიუტი. ყველა გაჩუმდა. შმიდტმა ისევ მიმართა:

— ამხანაგებო! ხომ ხედავთ, რომ ავადმყოფი კაცი ვარ, მაგრამ მე გიჩვენებთ მაგალითს, თუ ეს სუსტი, ავადმყოფი კაცი, როგორ წავა და შემოიერთებს მთელ დანარჩენ კამანდებს. მე მოგიყვანთ ახლავე ჯავშნოსან „პატიომკინის“ იმ პატიოსან მებრძოლთ, რომელნიც რამდენიმე თვეა დატყვევებულნი არიან გემ „პრუტზე“.

შემდეგ ჩამოვიდა ძირს ბაქანზე და უბრძანა, ერთი შეიარაღებული როტა ჩასულიყო კონტრ-ნაღმოსანზე, რომელიც იქვე მოცურდა წითელის დროშით. ნაღმოსანს სახელად ერქვა „სვირეპი“. იქავე მდგომ სამ ნაღმოსანსაც აფრიალებინა წითელი ბაირაღები.

მატროსები გაემზადნენ. მოიტანეს რამდენიმე ყუთი პატრონა და დაირიგეს ორჯერ მეტი ჩვეულებრივზე. შემდეგ ჩაეშვნენ ნაღმოსანზე. შმიდტიც ჩქარა ჩაიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, თვალ-წინ წარმოგვიდგა დიდებული სურათი. კონტრ-ნაღმოსანის წინა ნაწილზე, რომელიც ბაქანზე ცოტა მაღლაა, ავიდა შმიდტი, გასწორდა წელში და მარჯვენა ხელი დადო იქვე დაყენებულ ზარბაზანს; მის ქვევით იდგნენ ორმოცამდე მატროსები თოფით ხელში; ყველა საბრძოლველად იყო გამზადებული. სულ უკან იდგა მუსიკა. ერთ წამს დაიძრნენ. მუსიკამ დაუკრა, რომელიღაც მარში.

შმიდტმა წასვლის დროს მიმართა „ოჩაკოვის“ კამანდას:

— ზარბაზნები „პრუტისკენ“ მიმართეთ და, თუ ჩვენ იმ დატყვევებულ ამხანაგებთან შეგვხვდა სიკვდილი, შური იძიეთ, არ შეარჩინოთ!

— მზათა ვართ!—შესძახა კამანდამ.

„სვირეპმა“ ხელად გააქანა „პრუტისკენ“ ყველანი. ჩვენ შევსცქეროდით ამ დიდებულ სურათს. იმათი დანახვა კაცს ისეთ ძალას შთაბერავდა, რომ ეგონებოდა, რამდენიმე კაცის გასანთავისუფლებლად და თითო-ოროლა ოფიცრების დასაჭერად კი არ მიდიან, არამედ ქვეყნის დასაპყრობად მიეშურებიანო.

ჩვენ სიხარულით ვადევნებდით თვალს და მთელი კამანდა—როგორც „ოჩაკოვს,“ ისე ნაღმოსნებს—აცილებდა „ურას“ გრიალით. „სვირეპი“ ჩქარა მიეფარა ჯავშნოსნებს.

ჩვენი მატროსები გაეშურნენ კრეისერის წინა ნაწილისკენ და იქიდან დაუწყეს „პატიომკინის“ კამანდას მოლაპარაკება, რომელიც ორმოც საჟენზე იქნებოდა „ოჩაკოვიდან“. სულ მაღლა იდგა ერთი მატროსი და ბინოკლით ათვალიერებდა, თუ რა ხდებოდა, შემდეგ ჩვენ გვეუბნებოდა, რასაც ხედავდა.

მალე ჩვენთან მოვიდა „პატიომკინის“ ორი დეპუტატი.

ამ დროს „ოჩაკოვზე“ მუსიკა „ბოჟე ცარია ხრანი“ უკრავდა. მუსიკა გააჩუმებინეს. მაღლა გამოდგა „პატიომკინის“ ერთი დეპუტატი და მიჰმართა კამანდას შემდეგის სიტყვით:

— „ამხანაგებო! „პატიომკინის“ კამანდა შემოგიერთდა „ოჩაკოვს“. ჩვენ აქამდისაც შემოგიერთდებოდით, მაგრამ ჩვენმა ამხანაგებმავე გაგვყიდეს, იარაღი მისცეს უფროსებს, ჩვენ უიარაღოდა ვართ დარჩენილი და ეს გვაშინებდა, რომ წინააღმდეგობას ვერ გავუწევთ, ბრძოლა რომ დაგვიწყონო. ჩვენ მოლაპარაკება გვქონდა შმიდტთან და გეგმა ისე შევადგინეთ, რომ პირველი ნიშანი სხვა გემს უნდა მოეცა (სახელი ახლა საჭირო აღარ არის) და ჩვენ გაოცებული დავრჩით, რომ იმის მაგიერ „ოჩაკოვმა“ პირველმა ასწია წითელი დროშა!

მაინც გიერთდებით! „პატიომკინმა“ პირველმა ამართა წითელი დროშა და არც ეხლა ჩამოგრჩებათ უკან. ჩვენც თქვენთან ერთად მზადა ვართ თავი დავსდოთ მეფისა და მამულისთვის და ვებრძოლოთ იმ საზიზღარ მთავრობას, რომელიც ჩვენც გვტანჯავს და გვატყუებს და მეფესაც. გაუმარჯოს შეერთებულ „პატიომკინს“ და „ოჩაკოვს“!..

— „გაუმარჯოს“!—შესძახა მთელმა კამანდამ და დაუწყო „პატიომკინის“ კამანდას „ურას“ ძახილი. „პატიომკინელებ“-ი კი ერთად იყვნენ და მოგვჩერებოდნენ. პასუხს არ გვაძლევდნენ:

ცოტა ლაპარაკის შემდეგ „სვირეპიც“ გამოჩნდა და ერთი კატერი უკან მობმული ბარკასით. უკანასკნელი ხალხით იყო სავსე, „სვირეპი“ ხან ერთ ჯავშნოსანთან მიდიოდა და ხან მეორესთან, მაგრამ ისევ უკან ბრუნდებოდა. კატერიც და „სვირეპიც“ ჩქარა მოვიდნენ ჩვენთან. კატერი მოადგა კიბეს.

შმიდტმა დაიძახა „სვირეპიდან“, რომელიც განზე იდგა:

— ჯერ დატყვევებული ოფიცრები აიყვანეთ!

ლ. მეტრეველი.

(შემდეგი იქნება)

გურიის ამბები

სოციალ-დემოკრატიულ პარტიის რაიონულ ორგანიზაციათა კონგრესი.

15 ნოემბერს სოფ. ბახვში, ორკლასიან სკოლის დარბაზში, შესდგა გურიის სოც.-დემოკრატიულ პარტიის რაიონულ ორგანიზაციათა კონგრესი. კონგრესში მონაწილეობას კომიტეტის წევრებიც იღებდნენ.

მთელი გურია დაყოფილია შვიდ რაიონად, თითოეულ რაიონს აქვს მოწესრიგებული თავისი რაიონული ორგანიზაცია. ზოგს ორგანიზაციაში 20 კაცამდე ითვლება, ზოგშიაც ნაკლები. ამათი მოვალეობა არის, თავიანთ რაიონის საქმეების მოწესრიგება და მასთან, როცა საზოგადო კითხვები ირჩევა, გადამწყვეტის ხმით სარგებლობენ. ამრიგად, კონგრესზე თავი მოიყარეს მთელის გურიის წარმომადგენლებმა. 102 კაცი იყო და ერთი ქალი გადამწყვეტის ხმით. იყვნენ აგრეთვე სათათბირო ხმითაც. კონგრესზე დასწრების ნება ყველასა ჰქონდა.

ვეცდები მოკლედ გადმოგცეთ ამ საყურადღებო კრების ანგარიში.

თავმჯდომარის არჩევისა და ხმების შემოწმების შემდეგ, კრებას მოეხსენდა, რომ კონგრესმა ფეხზე ადგომითა და „вы жертвою пали“-ს გალობით პატივი სცეს ხსოვნას ძვირფას ამხანაგებისას, რომლებიც დაიხოცნენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში. კონგრესმა ეს წინადადება სიამოვნებით მიიღო და მწყობრად, ძლიერის, მაგრამ დაღონებულის ხმით, იგალობეს—„თქვენ თავი დასდეთ საბედისწერო ომში“.

შემდეგ კრებამ წამოაყენა გასარჩევად შემდეგი კითხვები:

1. დელეგატის გაგზავნა სრულიად-რუსეთის ს.-დ. მ. პ. კონფერენციაზე.
2. პარტიის შედგენა.
3. გადასინჯვა ტაქტიკისა და მისი შეთანხმება დღევანდელ შეცვლილ პირობებთან.
4. პარტიულ ორგანიზაციათა მოწყობა.
5. რაიონების დანაწილება.
6. დამოკიდებულება დემოკრატიასთან.
7. შეიარაღება და სახალხო მილიცია.
8. დამწვართა დახმარება.

ამ კითხვების დაყენების შემდეგ, კრებამ შეიმუშავა კრების წესრიგი (რეგლამენტი), ნება დართო თითოეულ ორატორს ერთი საგნის შესახებ ილაპარაკოს პირველად 15, მეორედ 10 და მესამედ 5 წუთი, მომხსენებლის დრო დარჩეს განუსაზღვრელი. ამის შემდეგ კონგრესი შეუდგა პირველ საკითხის გადაჭრას, ე. ი. სრულიად-რუსეთის კონფერენციაზე დელეგატის გაგზავნას. თავმჯდომარემ მოაგონა კრებას, თუ რა გასარჩევი საგნები ექნება კონფერენციას და როგორი წესრიგია საჭირო.

ქუთაისის გუბერნიიდან კონფერენციაზე უნდა გაგზავნილიყო ერთი დელეგატი, მაგრამ ადგილობრივ გურიის კომიტეტს საჭიროდ და სასურველად დაუნახავს საკუთრად, სხვებზე დამოუკიდებლად, გაგზავნოს თავისი, გურიის დელეგატი, და კიდეც გაუგზავნია ერთი ამხანაგი. კონფერენციის გადასაწყვეტი საგნები ყოფილა: პარტიის რეორგანიზაცია, მისი ლეგალიზაცია, პლატფორმა სხვა პარტიებთან შესაერთებელი და სხვები.

დელეგატის გაგზავნის ნება მარტო კომიტეტს არა ჰქონია, და ამან მცირე კამათი გამოიწვია. კომიტეტის წევრებმა თავი იმართლეს იმით, რომ ყველის შეკრების დრო არა ჰქონდა, რადგან რწმუნებულის გაგზავნა საჩქარო იყო და რკინის გზის გაფიცვების გამო რუსეთელ ამხანაგებმა ადრე ვერ გაგვაგებინესო. კომიტეტის ასეთი მოქმედება არა-სასურველ მოვლენად აღიარეს, მაგრამ წასულ დელეგატს კი კონგრესმა ნდობა გამოუცხადა. პირველი დღის სხდომა ამით დასრულდა.

მეორე დღეს კონგრესი გაიხსნა დილის 9 საათზე და შეუდგა იმ კითხვის განხილვას, თუ როგორი უნდა იყოს სოფლად ჩვენი ტაქტიკა.

დიდის ხნის თათბირისა და კამათის შემდეგ, კონგრესმა შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

1. „ვიღებთ-რა მხედველობაში, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტით, შეცვლილ პირობებში, ძველის ბოიკოტის დატოვებით სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, მისდა უნებურად, მთავრობის როლში ვარდება და მით ოპოზიციას შორდება, ჰკარგავს ბურჟუაზიულ სახელმწიფო წყობილების თავისუფალ კრიტიკის იარაღს, 2) რომ სოფელში არსებული ბოიკოტი მიმართულია თვითმპყრობელ ბიუროკრატიულ წყობილებისა და რეაქციის წინააღმდეგ, და 3) იღებს რა მხედველობაში თანამედროვე ძალთა ურთიერთ შორის დამოკიდებულებას, გურიის ორგანიზაცია აუქმებს მთავრობის დაწესებულებათა წინააღმდეგ მიმართულ ბოიკოტს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი ფაქტიურად ცხოვრებაში შევა და არ იქმნება მხოლოდ ფიქცია, ქაღალდზე დაწერილი—კონსტიტუცია განხორციელდება და დაუყოვნებლივ მოსპობილ იქმნება ის განსაკუთრებული ზომები, რომლებიც ხელს გვიშლიან ბრძოლით მოპოვებულ უფლებებით წესიერად ვისარგებლოთ“.

ამ რეზოლუციის მიღების შემდეგ, კონგრესი შეუდგა საკითხს პარტიის შედგენის შესახებ. ბევრმა ორატორმა გულმტკივნეულობით აღნიშნა ის ფაქტი, რომ დღეს პარტია არ არის დაწმენდილი, მასში შედიან ბევრი არა-სასურველი ელემენტები, ბევრნი არიან მასში არა ნამდვილი სოციალ-დემოკრატები. მთელი გურია დღეს პარტიაში ყოფილა მოქცეული, მაგრამ არ შეიძლება სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პრინციპის თვალთა ხედვის ისრით ყველანი ვაღიაროთ სოციალ დემოკრატებად, რადგან, არამც თუ სხვას, „არქიმანდრიტებსაც“ კი პარტიის წევრად მოაქვთ თავი და მით ყოყოჩობენ.

ყველამ ერთხმად აღიარა აუცილებლობა პარტიის გაწმენდისა, მაგრამ, თუ როგორ განიწმინდოს, რადიკალურ საშუალების დასახელება ძნელ და თავსამტვრევ კითხვად დარჩა.

ბევრი ორატორი იმ აზრის არის, რომ, როცა დღევანდელ პოლიტიკურად შეცვლილ პირობებში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა უფრო ფართოდ დაიწყებს მოქმედებას, მაშინ ჩვენთვის არა-სასურველი ელემენტები თავისთავად ჩამოშორდება და სხვა პარტიებს შეუერთდება. ერთმა ის აზრიც კი გამოსთქვა, რომ აღიარებულ იქმნას სხვა პარტიებიც სოციალ-დემოკრატიულთან ერთად თანასწორ უფლებიანად და ისინი ჩვენთვის გამოუსადეგარს თავიანთ ბანაკისაკენ გადაიბირებენო. ბოლოს ის აზრი გამოითქვა, რომ პარტიის წევრად ირიცხებოდეს მხოლოდ ის, ვინც: 1) მიიღებს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამას., 2) ვინც ქონებრივ დახმარებას უწევს, და 3) ვინც რომელიმე ორგანიზაციაში, ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ქვეშ, მუშაობს. კრებამ ორი მუხლი უკამათოდ მიიღო, ხოლო მესამეს კი კენჭი უყარა და სა-

---

*) იხ. „ივერია“ № 216.

**) მოთხოვნილება თავის დროზე იქნება აწერილი.

მოცმა ხმამ, 31 წინააღმდეგ მესამე მუხლიც მიიღო.

როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება დემოკრატიასთან?—

ამ კითხვის შესახებ გამოითქვა ის აზრი, რომ, სოფლის დემოკრატიაზე გავლენის მოსახდენად და მის გასასოციალ-დემოკრატებლად საჭიროა პროპაგანდა-აგიტაციის უფრო ცხოვლად განგრძობა, სოციალ-დემოკრატიულ კლუბების დაარსება და ამ კლუბების მედგარი მუშაობა და სხვ. საჭიროდ იქმნა ცნობილი დემოკრატიისაგან შემოწირულების მიღებაც, დატოვება მათთვის ათის და ასის თავებისა, რადგან ესენი ხელს შეუწყობენ ძალთა მობილიზაციის მოხდენას.

კონგრესის-მიერ ფრიად სასურველად იქმნა ცნობილი, რომ ათისა და ასის თავებად იყვნენ, როგორც დემოკრატები, ისე სოციალ-დემოკრატებიც. საჭიროდ იქმნა აგრეთვე აღიარებული, რომ პარტიულ პერიოდულ გამოცემებში განსაკუთრებითი ადგილი ჰქონდეს დათმობილი აგრარულ საკითხებს. კონგრესმა ეს კითხვა გამორკვეულად სცნო და მისი განხორციელებაც სასურველად მიიჩნია.

შეიარაღება—სახალხო მილიციის მოწყობა, მფრინავ რაზმის დაარსება, მებრძოლ რაზმის-მიერ სამხედრო მეცნიერების შესწავლა და სხვა ამის შესახები და მისი განსახორციელებელი საშუალებები, კონგრესზე მიღებული, კრებამ დაადასტურა და კომისიები აირჩია.

ამავე დღეს კრებამ აირჩია სარეზოლუციო კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს კონგრესის რეზოლუციები და სხვადასხვა ადრესები. მეორე დღის სხდომა ღამის 9 საათზე და 40 წუთზე დასრულდა.

მესამე დღის სხდომა და მსჯელობა განახლდა დილის ათის ნახევარზე.

დააყენეს საკითხი: პარტიისთვის სახსრის გამოძებნა და მისი გადიდება.

პრინციპიალურად აღიარებულ იქმნა, რომ თვიური შემწეობა, რომელიც ამდენს ხანს იყო (ესე იგი აბაზი), მომავალშიაც დარჩეს. მეორე შემოსავლის წყაროდ ცნობილ იქმნა ლექციებიდან შემოსული ფული და არა-პარტიის წევრებიდან მატერიალური დახმარება. ამისთვის გადაწყდა: დაარსდეს დამხმარებელი ჯგუფები პარტიის წევრების ინიციატივით არა-პარტიის წევრებისაგან.

კონგრესმა დიდი სურვილი გამოსთქვა ოზურგეთში ცენტრალურ, სოციალ-დემოკრატიულ კლუბის დაარსებისა. ზოგმა გამოსთქვა ის აზრი, რომ ცენტრალური კლუბი გურიის ცენტრალურ (ტერიტორიალურ) ადგილას უნდა იყოსო, მაგრამ ხმის უმეტესობამ სამჯობინოდ და სასარგებლოდ იცნო ოზურგეთში დაარსება. კლუბის სახლად მოსახერხებლად სცნო საქალაქო სასწავლებლის სამეურნეო განყოფილების შენობა, რომელსაც არავითარი ნაყოფი არ მოაქვს და რომელიც მთელის გურიის გლეხობის საკუთრებაა და დღეს მაინც გაუქმებულია. თუ როგორ დაისაკუთრონ ეს შენობა, ამის შესრულება მიენდო კონგრესის სამს წევრს. ამასთან სასურველად სცნეს დაარსდეს სარაიონო კლუბებიც.

რაიონის განაწილება, ან მისი მოკლება-მომატება, კონგრესმა გადასდო დროებით, სხვადასხვა მოსაზრებისა გამო.

კაზაკების მიერ დამწვარ ოჯახებისთვის შემოწირულებათა შესახებ კონგრესმა გადასწყვიტა, არსებულ კომიტეტს (ამ საგნისთვის) კიდევ მიუმატოს ორი წევრი პარტიიდან და ამათ მიეცეს სრული ნება, რომ, რაც შეიძლება, მეტი შემოწირულება შეაგროვოს და დამწვართა შორის გაანაწილოს დაზარალებულთა შეძლებისადაგვარად. ამასთან კრებამ დაადგინა, რომ ოზურგეთელ ვაჭრებისაგან არ მიიღოს შემოწირულება, ვიდრე ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია არ გამოააშკარავებს იმ ვაჭრების სახელსა და გვარს, რომელთაც ითხოვეს, რომ ოზურგეთში პლასტუნები მოეწვიათ. იმედია, ამ სამარცხვინო ბრალს ოზურგეთის ვაჭრები თავიდან აიცილებენ და თავიანთ ,,მომჯაყველ'' წევრს თვითვე გამოაჩენენ—ვინაიდან არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადდეს''.

კონგრესმა გადასწყვიტა ახლავე გამოიცეს ფურცლები გურიაში შემოწირულებათა შესაგროვებლად.

კონგრესმა ამით დაასრულა წინად წამოყენებულ კითხვების განხილვა და შეუდგა ახლად წამოყენებულ კითხვების განსჯას. ერთი ასეთი კითხვა იყო სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის მიღება. კონგრესმა პრინციპიალურად მასში მონაწილეობის მიღება აღიარა—და ამის სისრულეში მოსაყვანად გადასწყვიტა, თითოეულ საზოგადოებაში ახლავე დაარსდეს „საარჩევნო ბიუროები", რომელშიაც შევა (თითოში) პარტიის სამი წევრი და რომლებიც ეცდებიან გაიყვანონ ყველა წოდებიდან პარტიის მიერ წამოყენებული კანდიდატები.

პროპაგანდისტების გონების განსავითარებლად, კონგრესმა საჭიროდ სცნო მათთვის ლექციების გამართვა და მასთან თითოეულ ტემებზე ცალკე მომზადება, ამხანაგთა წრეში კამათ-დებატების გამართვა და, შემდეგ რომელიმე განყენებულ საგნის აწონ-დაწონვისა, ხალხში გატანა პროპაგანდისტის-მიერ. ამისთვის საჭირო იქმნება პროპაგანდისტების 15 დღეში ერთხელ შეკრება და განაწილებულ ტემებზე სჯა-ბაასი.

—

კონგრესმა საჭიროდ დაინახა, აგრეთვე, რაიონულ ორგანიზაციების თვეში ერთხელ შეკრება, მაგრამ, რადგან მთელ რაიონულ ორგანიზაციას ეს არ შეუძლება, ამისათვის თითოეულ ახეთ ორგანიზაციიდან ორ-ორი კაცი იქმნება არჩეული კოლექტივში მონაწილეობის მისაღებად.

—

კონგრესს მოეხსენდა, რომ დღეს მთელ გურიაში ტყეებს უმოწყალოდ ეკცევიან და ანადგურებენ; რადგან ეს ფრიად სამწუხარო მოვლენაა, კონგრესმა დაადგინა: ამოარჩიოს სამი კაცი, რომლებიც შეიმუშავებენ ტყით სარგებლობის წესრიგს, შეიმუშავებენ მის მაზანდას, დასწერენ ფურცელს და გადასცემენ კომიტეტს განსახილველად და სისრულეში მოსაყვანად. ამის შემდეგ კონგრესმა აირჩია სხვადასხვა კომისიის წევრები; შემდეგ მოისმინა კომისიის-მიერ შედგენილი სამი რეზოლუცია, რომელიც კონგრესმა ცოტაოდენის შესწორებით მიიღო.

პირველ რეზოლუციით კონგრესი ჰგმობს ვიტტეს ორპოფ მთავრობას, რომელიც მარცხენათი 17 ოქტომბრის მანიფესტს ხელს აწერს და მარჯვენათი შავი რაზმისა და ხულიგანების ბრბოს ამზადებს და კონტ-რევოლუციას აწყობს. ასეთ საზიზღარ და მატყუარა მთავრობას კონგრესი თავის ზიზღს უცხადებს; თავის მებრძოლ ამხანაგებს გურიის სოციალ-დემოკრატიული კონგრესი სალამს უძღვნის და იწვევს რუსეთის სოც.-დემ. ერთ დროშის ქვეშ უფრო მძლავრად შესაერთებლად, რომლის უახლოესი ლოზუნგია—დამფუძნებელ კრების მოწვევა.

მეორე რეზოლუციით გურიის კონგრესი კრონშტადტელ მატროსებს თავის თანაგრძნობას უცხადებს და აღუთქვამს, რომ, უკეთუ მთავრობა ძველ ბარბაროსულ ზომებს მიმართავს, მაშინ გურულებიც მატროსებს მიემხრობიან და ამით თავისუფლებას მკერდით დაიცავენ.

მესამე რეზოლუციით კონგრესი გმირ კახელებს მადლობას უთვლის გაჭირვების დროს თანაგრძნობისთვის.

ყველა ეს რეზოლუციები მხურვალე გრძნობით აღსავსეა და კონგრესმა იგი ტაშის ცემით მოისმინა.

ანწლაძე.

ახალი ამბავი

—

გუშინ, 1 დეკემბერს, **ქალაქში სრული მშვიდობიანობა იყო**, მაგრამ ტფილისმა ჩვეულებრივი სახე მაინც ვერ მიიღო. დუქნები და მაღაზიები ზოგან ჩაკეტილია. ელექტრონის ტრამვაის ვაგონები მხოლოდ რამანის მოედნამდე დადის. ვორონცოვის ქუჩაზე, მეექვსე საპოლიციო უბანში, მოძრაობა ისევ შეწყვეტილია, თუმცა იქით შიშიანობა აღარ არის. მიზეზი ის არის, რომ ბევრგან თათრების უბანში ელექტრონის ტრამვაის მავთულები თოფების ტყვიებით დაწყვეტილია. ბორჩალოდან ჩამოსულ თათრების უმრავლესობა ქალაქიდან 30 ნოემბერს საღამოს წავიდა, რადგან დარწმუნდნენ, რომ თათრებსაც და სომხებსაც ამჟამად შერიგება სურთ და ამის გამო მოლაპარაკებაც დაიწყეს. სომეხთა და თათართა შორის მშვიდობიანობის ჩამომგდები კომიტეტი, რომლის წევრებადაც მაჰმადიანთა და სომეხთა წარმომადგენელნი არიან, კრებას კრებაზე მართავენ, რათა გამონახონ ღონის ძიებანი ამ ორ ეროვნებას შორის სამუდამოდ ძმური დამოკიდებულების დასამყარებლად. ამ კრებებზე ნეიტრალ ხალხის წარმომადგენლებს არ უშვებენ. კომიტეტს გუშინ დილით ქალაქის საბჭოს დარბაზშიაც ჰქონდა კრება. საბჭოს კარებს დიდძალი სომხობა მიაწყდა, მაგრამ არ შეუშვეს: აქ მარტო წარმომადგენლების კრებააო.

◆ ექიმების სიტყვით, დაჭრილი მილიციონერი **თეოფილე ბაბილოძე** მალე მორჩება.

◆ 29 ნოემბერს, როდესაც მე-6 საპოლიციო უბანში ,,ლეეის'' პაპიროსის ფაბრიკასა და ტყავის ქარხანას ცეცხლი წაეკიდა, ,,დაშნაკცაკანებმა'' ეჭვი მიიტანეს გზაზე მიმავალ მშვიდ თათრებზე, რიცხვით ოთხზე, წამოეწიენ კომმერციულ სკოლის წინ (ჩუღურეთში) და დაუწყეს რევოლვერების სროლა, ორი იქვე მოჰკლეს, ხოლო ორი, უგრძნობლად დამფრთხალი, კუკიის ხიდით სომხის ბაზარში გაცვივდნენ და თან ჰყვიროდნენ: **„ნუ მოგვკლავთ, ჩვენ თქვენი ძმები ვართ, ქალაქელებიო''**, მაგრამ „დაშნაკცაკანებმა" იმათ ვედრებას ყურადღებაც არ მიაქციეს და დაუწყეს სროლა, ერთი იქვე გაჰგმირეს ათის ტყვიით და ბებუთით, ხოლო თავში ხანჯლით დაჭრილი მეორე კი ბაყლებმა გადაარჩინეს. მოკლული უიარაღო იყო.

◆ გუშინ ტფ. ქალაქის გამგეობამ ასეთი დეპეშა გაუგზავნა ერევნისა და განჯის ცნობილ მაჰმადიანებს: ,,ტფილისში სომეხ-თათართა შორის შერიგება მოხდა. სამასი მაჰმადიანი, რომლებიც დარწმუნდნენ თავის თანამემამულეთა უსაშიშროებაში, შინისკენ წავიდა. სომეხ-თათართა წარმომადგენელნი მკვიდრ ზავის პირობებს ადგენენ.

◆ რ. ს. დ. პარტიის ტფ. ბიურომ **ბათუმის კომიტეტისაგან** შემდეგი ცნობები მიიღო: „28 ნოემბერს, საღამოზე, კაზაკებმა მეხანათურად მოუდარაჯეს მოქალაქეებს და ხმლებით დაუწყეს ჩეხვა. მოკლული ჯერ-ჯერობით აღმოჩნდა 7, დაჭრილი 4. ქალაქში ხმა დადის, რომ 15 მოქალაქე დაუჭერიათ კაზაკებს და უწამებიათო. თავზარდაცემულმა მცხოვრებლებმა თავი მოიყარეს ქალაქის გამგეობაში, შემდეგ საჩქაროდ შეიარაღდნენ და მთელი ღამე ქალაქს სდარაჯობდნენ. მცხოვრებლებს მიემხრო სანაღმო როტის ერთი ნაწილი, ორის აფიცრის მეთაურობით. არ ვიცით, მომავალი რას გვიქადის. გთხოვთ, ყოველგვარი დახმარება აღმოგვიჩინოთ. დღეს ქალაქში საერთო გაფიცვა დაიწყო".

◆ ფოთიდან ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ ხალხსა და კაზაკებს შორის ატეხილ სროლის დროს **ორივე მხრით დაჭრილი და მოკლული ბევრია.** ნავთსადგურთან, შაბათს აქეთ, რამდენიმე დუქანი იწვის. ცეცხლის მქრობელი რაზმი არსად სჩანს. უწესობის ჩასაქრობად პოლიცია არავითარ ღონისძიებას არ ხმარობს. მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილია. მცხოვრებნი აღშფოთებულნი არიან.

◆ სოფლიდან ჩამოსული შეიარაღებული თათრები 29 ნოემბრიდან **თავთავიანთ სოფლებში ბრუნდებიან**. ამ დღეს წავიდა სამასამდე შეიარაღებული კაცი.

◆ პოლიციის ცნობებით, 29 ნოემბერს, შუადღისას, ყორღანოვის ქუჩაზე კონკით ვაგზლიდან მოდიოდა 10 **მაჰმადიანი**; გზაში მათ დაეცა სომეხთა ბრბო და თოფის სროლა დაუწყო. თათრები გაიფანტნენ და გაიქცნენ. სომხები წამოეწიენ ორს მათგანს, ორივე მოჰკლეს და მტკვარში გადაყარეს, მესამე, მძიმედ დაჭრილი მხარსა და ხელში, თვითონ გადავარდა მტკვარში, მაგრამ მალაკნებმა გადაარჩინეს (,,კავკ.'').

◆ უკანასკნელ დღეებში ტფილისში **სახელმწიფო ბანკის განყოფილებასა და შემნახველ კასსებს აუარებელი ხალხი აწყდება**. ყველა თავის ფულს თხოულობს. ბანკი ქაღალდის ფულით ასწორებს ანგარიშს, მაგრამ ხალხი ქაღალდის ფულზე უარს ამბობს და ოქრო-ვერცხლსა თხოულობს. გუშინ, დილის 11 საათზე, სახელმწიფო ბანკში ოქროს ფულის გაცემა შესწყვიტეს.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის **საოლქო ბიურომ** ეკატერინოდარის კომიტეტისაგან შემდეგი ცნობა მიიღო: „შეურყეველად ვართ. იქამდე ვიბრძოლებთ, სანამ არ დავიმარცხებთ. კავშირის წინააღმდეგ სასტიკი ზომებია მიღებული".

◆ **ალექსანდროპოლი**, 30 ნოემბერი. სახალხო მატარებლებს **ეცემიან სომხები** და მგზავრებს ძარცვავენ.

◆ ოთხშაბათს, გათენებისას, „ხლებნი" მოედანზე **სომეხ-ხულიგანებმა გაძარცვეს** მაჰმადიან რაღიმ ალიევის მაღაზია. ძარცვაში მონაწილეობას იღებდა რამდენიმე კაცი „დაშნაკცუტუნის" პარტიის ნიშნებით („რაბ. ლისტ.").

◆ 30 ნოემბერს, აეჭალის ქუჩაზე, ღამის სამ საათზე, **ორი ხულიგანი შეიპყრეს**. ხულიგანებს სარძევე თუნუქებით ნავთი მოჰქონდათ. ამ დროს შეხვდათ ორი ქართველი, რომელთაც ნავთის წართმევა მოუნდომეს. უცნობებმა რევოლვერები ამოიღეს. მაშინ კი ქართველებმა შეიპყრეს იგინი და იმ წამსვე გადასცეს სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ბიუროს.

◆ თათართა და სომეხთა ხოცვა-ჟლეტის გამო, ეს სამი დღეა, რკინის გზის სახალხო მატარებლების მიმოსვლა ჩვეულებრივად აღარ სწარმოებს. ბაქოდან ბათუმში წამავალი მატარებელი, რომელიც დილის რვა საათზე გადიოდა ხოლმე, ახლა საღამოობით გადის.

◆ 30 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ელექტრონის ტრამვაის ვაგონზე დასჭრეს ხელში რევოლვერით ამავე ტრამვაის კანტროლიორი ცულოევი. დამჭრელს მკლავზე პოლიტიკური ნიშანი ჰქონდა და მიიმალა. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. იმავე ალაგას ცოტა ხანს უკან ვიღაცამ კიდევ გაისროლა რევოლვერი და მიიმალა. ახლა ცხადად აღმოჩნდა, რომ მსროლელი პროვოკატორი იყო.

◆ 18 ნოემბერს კავკავიდან პიატიგორსკში **ადგილობრივ ჯარის დასამშვიდებლად** გაგზავნეს აფშერონის პოლკის ერთი როტა. 20 ნოემბერს ეს როტა უკანვე დააბრუნეს, რადგან მთავრობამ შეატყო, რომ როტას აზრადა ჰქონდა „ამბოხებულ" ჯარს შეერთებოდა.

◆ გუშინ, 1 დეკემბერს, 1 საათზე, პუშკინის ქუჩაში, პუშკინის ბაღის პირდაპირ, სასადილო „სიმპატიაში" შემოვიდა ორი უცნობი კაცი (ტომით რუსი), რომელთაც ისადილეს და ფული სრულიად არ მისცეს. იგივე უცნობები შევიდნენ იმავე ქუჩაში ქიშმიშოვის მაღაზიაში და მოსთხოვეს ფული, ვითომდა სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის დროს მოკლულის ამხანაგ მილიციონერის დასასაფლავებლად. **ეს პირები საეჭვოდ იცნეს** და შეიპყრეს. გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდათ სია, სადაც უკვე ჩამოწერილი იყო, რომ რამდენიმე პირებისთვის გამოერთმიათ ფული. შეპყრობილები ჩასვეს ეტლში და ნაძალადევში წაიყვანეს.

◆ ქალაქის თითქმის ყველა უბნებში **თვით მცხოვრებლებმა შეადგინეს რაზმები**, რომელნიც თავიანთ უბნებს მთელი ღამე სდარაჯობენ. რაზმებში მონაწილეობას იღებენ მხცოვანი ბურჟუა-სახლის პატრონები, სასამართლოს პროკურორი, სასამართლოს წევრები, ექიმები, ნაფიცი ვექილები, მწერლები და სხვა.

◆ გუშინწინ, 30 ნოემბერს, საღამოს 9½ საათზე მე-2 საპოლიციო ნაწილში, ნიკიტინის ცირკის გვერდით, პატრულმა **შეიპყრო სამი ქურდი**, რომელთაც საწვრილმანო დუქნის გატეხა უნდოდათ.

◆ მთავრობის განკარგულებით, **ამ დღეებში ანთავისუფლებენ ყველა იმ სათადარიგო ოფიცრებს**, რომელნიც შორეულ-აღმოსავლეთის ომიანობის დროს სამხედრო სამსახურში იყვნენ გაწვეულნი.

◆ დღეს, 2 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, **დანიშნულია საზოგადო კრება** ტფილისის რედაქციების კონტორის მოხელეთა, გაზეთის დამტარებელთა, ექსპედიტორთა, მათ თანაშემწეთა და რედაქციაში მოსამსახურეთა.

◆ **თავის დაცვის რაზმის დასაარსებლად ვერელებმა** 30 კაცი აირჩიეს. ამათგან სამი კაცი პოლიცმეისტერს წარუდგა განსაცხადებლად, რომ მილიცია დაარსონ. პოლიცმეისტერმა უთხრა: ჩემის მხრივ ვერავითარ გარანტიას ვერ მოგცემთ, რომ კაზაკებმა არ გესროლონო.

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოხელენი ერთხმად თხოულობენ**, რომ ამიერიდან ჯამაგირიდან აღარ გამოერიცხოთ ფული საპენსიო კასისათვის და ის ფულიც, რომელიც დღევანდლამდე დაუჭერიათ, დაუყოვნებლივ დაუბრუნდეთ.

◆ ოთხშაბათს, 30 ნოემბერს, ღამის 7 საათზე, რკინის გზის სადგურის ახლო რაღაცამ იფეთქა. ნერვებ-აშლილი ხალხი გარბოდა სადგურისაკენ. გამოირკვა, რომ ვიღაც ხულიგანს კონკის ვაგონის ქვეშ პეტარდა შეევდო.

◆ გუშინწინ, 30 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, პირველ საპოლიციო უბანში, მოსკოვის ქუჩაზე, ვიღაც ხულიგანმა რევოლვერი გაისროლა იქვე მდგომ შეჯგუფულ ხალხში. ტყვიას არავინ დაუჭრია, ხულიგანი მიიმალა.

◆ სამშაბათს, 29 ნოემბერს, მე-5 თუ საპოლიციო ნაწილში მილიციონერებმა დასტუქსეს რძის გამყიდველი ერთი ქალი, რომელიც საეჭვოდ იცნეს მილიციონერებმა გასინჯეს და თუნგში რძის ნაცვლად ნავთი აღმოაჩნდა. ქალი ბევრს ცდილობდა, რომ ხელიდან წასვლოდა მილიციონერებს, მაგრამ, რადგან ის მილიციონერებმა ხულიგანად იცნეს, დაატუსაღეს და გადასცეს ტფილისის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციას მსჯავრის დასადებად.

მიტინგები სამტრედიაში.

—

18 ნოემბერს აქ მოხდა დიდი მიტინგი, რომელსაც დაესწრო 9—10 ათასამდე კაცი.

ილაპარაკეს სოციალ-დემოკრატების ორატორებმა, რომელთაგან ყველაზე მეტი შთაბეჭდილება მოახდინა რუსმა ორატორმა, ქალმა,—თვით კაზაკებზე და სალდათებზედაც, რომელთა რიცხვიც საკმაოდ დაესწრო მიტინგს.

მიტინგმა მიიღო შემდეგი რეზოლუციები:

1) 17 ოქტომბრის მანიფესტი არ არის მთავრობისაგან ნაბოძები, არამედ ის მოპოვებულია პროლეტარიატის ხანგრძლივ და თავგამოდებულ ბრძოლით და, სხვათა შორის, ოქტომბრის პოლიტიკურ გაფიცვითაც.

2) გაიცნო რა პოლიტიკა ვიტტეს მთავრობისა, მიტინგმა დაასკვნა, რომ იგი თავისუფლების სახელით განაგრძობს ძველ წყობილების პოლიტიკას, პოლიტიკას უზომო თვითნებობისა და საზიზღარ ძალმომრეობისას, რომელიც გამოიხატა მთელ რუსეთში შავ-რაზმელების საშუალებით მოწყობილ ხოცვა-ჟლეტასა და აწიოკებაში, პოლონეთში და რუსეთის 3 გუბერნიაში სამხედრო წესების გამოცხადებასა, თავისუფლებისათვის მებრძოლ კრონშტადტელ სალდათებისა და მატროსებისა და ვლადივოსტოკის სალდათების სამხედრო სამართალში მიცემაში და აგრეთვე იმაში, რომ ძველი წყობილების მოხელენი, რომელთა ყოველი აზრი და მოქმედებაც მიმართულია ძველ რეჟიმის აღდგენისაკენ, დატოვებულნი არიან თავიანთ ადგილზე.

მოვუწოდებთ ყველა მოქალაქეს მედგარ ბრძოლისათვის ვიტტეს ორპირულ მთავრობასთან დემოკრატიულ რესპუბლიკის მოპოვებამდე.

3) მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ მოიხსნას სამხედრო წესები მთელს რუსეთში, მოვითხოვთ სამხედრო სამართალში მიცემულ კრონშტადტელ და ვლადივოსტოკის მატროსებისა და სალდათების განთავისუფლებას, განთავისუფლებას კასპიის ფლოტის 15 დაჭერილ მატროსისას და კაზარმებში დატყვევებულ ამავე ფლოტის დანარჩენ მატროსების განთავისუფლებას (ბაქოში).

4) სიკვდილით დასჯის მოსპობას.

5) დათხოვნას ძველ რეჟიმის ყველა ჩინოვნიკებისას და პასუხის გებაში მიცემას ხოცვა-ჟლეტისა და აწიოკების ყველა დამნაშავეთა.

მიტინგზე გადაწყდა, გადასცენ ერთი პროცენტი შემოსავლისა შეიარაღებისთვის.

შეიკრიბა 43 მან. და 46 კაპ. კასპიის ფლოტის მატროსების სასარგებლოდ და ეს ფული გაიგზავნა რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტიის ბაქოს ორგანიზაციაში.

გადასწყდა, რომ ეს რეზოლუციები შეატყობინონ რამოდენიმე გაზეთს.

ლ. დ—ია.

მიტინგი ს. მარტყოფში

(ტფილისის მაზრა.)

კვირას, 20 ნოემბერს, ს. მარტყოფში გაიმართა სახალხო მიტინგი. თუმცა წვიმიანი დღე იყო, მაგრამ დილის ათ საათზე სოფლის სასამართლოს ეზოში რვა-ასამდე კაცმა მოიყარა თავი. წინა დღით სოფელში ხმა დადიოდა, ერთი „ბუნტოვშიკი" ჩამოსულა ტფილისიდანო, და ძალიან დაინტერესებულნი იყვნენ გაეგონათ მისგან რამე ახალი. სანამ კრება გაიხსნებოდა, გლეხებს დიდი ჩხუბი ჰქონდათ. იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად და გაცხარებით კამათობდნენ მღვდლებზე, ქურდებზე, სასოფლო ტყეზე და სხვ. მღვდლები ჭირივით შესძაგებიათ აქაურ გლეხებს. „ამდენ ხანს გვსრისეს და ახლა კი ცარიელზე უნდა დავსვათო", გაიძახიან. ქურდებს ხომ იმ ზომამდე მოუყვანიათ გლეხები, რომ დახოცვას ემუქრებიან. წინა დღით ვიღაცამ ხმა დაავდო: ხვალ ქურდები უნდა დახოცონო, ესენი ვიღაც კნიაზებიაო და სხვ. მღვდლებს და ერთს აქაურ თავადს თავზარი დასცემოდათ. ეს თავადი მეტის მეტი თავხედი და ნამდვილი „კნიაზური" ხასიათისა ყოფილა. მას თურმე ისიც კი არ გაუგია ჯერ, რომ ბატონ-ყმობა მოისპო,—საწყალ გლეხებს სულს ართმევს. მის მახლობლად წყარო გამოდის, ამ წყაროს ხან კნეინა და ხან კნიაზი სდარაჯობს თურმე და, ვინც მივა წყლისთვის, ან ჭურჭელს წაართმევს და ან სხვა რამეს. ერთი საწყალი გლეხისთვის ვირი წაურთმევია და გაუგდია. რაკი ასეთი ხასიათის ემწვიდი ბრძანებულა, გლეხებიც ცუდის თვალით უყურებენ და კიდეც ამიტომ მიტინგის გათავებამდე შეკაზმული ცხენი ება ეზოში,—თუ ვინიცობაა დამეცნენ, გავექცეო. თერთმეტ საათზე გაიხსნა კრება. კრების გახსნამდე ჩამოსულმა „ბუნტოვშიკმა" მიმართა გლეხებს აერჩიათ თავმჯდომარე.—,,ჩვენი თავმჯდომარეც და პატრონიც ჩვენი მამასახლისი არისო და ისევ ის იყოსო''—უპასუხეს გლეხებმა და ერთხმად აირჩიეს თავმჯდომარედ. ილაპარაკა ოთხმა ორატორმა. პირველმა აუხსნა გლეხებს მათი დღევანდელი მდგომარეობა. მოკლედ შეეხო 17 ოქტომბრის მანიფესტს და წინადადება მისცა ხალხს, ეხლა მაინც მოსულიყვნენ გონს და მხარი დაეჭირათ თავისუფლებისთვის მებრძოლთათვის. მეორე ორატორი ვრცლად შეეხო 17 ოქტომბრის მანიფესტს. აუხსნა ხალხს, რამ აიძულა თვითმპყრობელი—მეფე ასეთი წყალობა გამოეღო ხალხისთვის. აუხსნია, რა როლი ითამაშა პროლეტარიატმა ამ განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მოკლედ მოიხსენია უკანასკნელ დროის ამბები გურიაში, ტფილისში (22 ოქტ.), რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში და სხვ. ნათლად განუმარტა ხალხს, რა ტაქტიკას დაადგა დღეს მთავრობა, რომელიც ბნელ ძალებთან შეერთებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გვიცხადებს. შეეხო აგრეთვე ვიტტეს და მის პოლიტიკას. იმავ ორატორმა მღვდლებიც არ დატოვა გულ-ნაკლული. ძირს თვითმპყრობელობა, ძირს ვიტტე! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკასო.—იგრიალეს გლეხებმა. მესამე ორატორმა რამდენიმე სიტყვით გაიმეორა წინა ორატორების ნათქვამი. მეოთხემ პირდაპირ მღვდლებზე დაიწყო და დაახასიათა მათი სახე და მოქმედება, შემდეგ იმავ ორატორმა გადასცა ხალხს სხვა სოფლების დადგენილება: ამიერიდან მღვდლებს არაფერი მივსცეთ და თავიანთ ჯამაგირებით დავაკმაყოფილოთო. ხალხს ეს აზრი მოეწონა. ამ დროს ექიმმა ჯაფარიძემ მიმართა ხალხს: „ამხანაგებო! ცუდ საქმეს ჩადიხართ, მაგრე დატოვება მღვდლისა შეუძლებელია". ექიმს სიტყვა არ გაეთავებინა, რომ ხალხში ხმაურობა ასტყდა: „არა არ გვინდა"! აქა იქ ისმოდა: ჩვენ ასეთი ექიმი არ გვინდა, გვინდა 30 მ. ვიშოვოთო". ამის გაგონებაზე ექიმი შეკრთა და მიიმალა. მიტინგი გათავდა საღამოს 4 საათზე. მიტინგზე მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება: ამიერიდან მღვდლებს არაფერი მისცენ. შეადგინეს ორგანიზაცია, აირჩიეს ათის და ასის თავები და ერთიც წარმომადგენელი. ყველამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ დღევანდელი თავისუფლება, ვერ არის მკვიდრ ნიადაგზე დამყარებული და მის უკან წინდებს სდიობს მთავრობა, ბნელ ძალებთან შეერთებული, ხალხის მიტინგი ს. მარტყოფში ზიზღს უცხადებს დღევანდელ მთავრობას, ვიტტეს და მის მომხრე ბურჟუა-ლიბერალებს და იარაღით ხელში ქუჩაში გამოდის საბრძოლველად. ბოიკოტს უცხადებს მთავრობის ყველა დაწესებულებას და ადგენს თავის რევოლუციონურ თვითმართველობას. ხალხი „გაუმარჯოს" და „ვაშას„ ძახილით დაიშალა.

მარტყოფელი გლეხი.

რუსეთი

—

სარატოვის გენ.-გუბერნატორის სახაროვის მაგივრად, რომელიც ამ დღეებში სოც.-რევოლუციონერებმა მოჰკლეს, **დაინიშნა** გენ. მაქსიმოვიჩი, ვარშავის გენ. გუბერნატორად ნამყოფი.

◆ ლიფლანდიის გუბერნიაში 22 ნოემბრიდან **სამხედრო წესები შემოიღეს**.

◆ შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოაცხადა, რომ ამ ახლო ხანში 32 გუბერნიაში **დარაჯთა ინსტიტუტი** იქნება შემოღებული. თითო დარაჯს წელიწადში 460 მან. მიეცემა ჯამაგირად. მარტო ამიერ-კავკასია ამ დარაჯებზე წელიწადში 3 მილიონ მანათამდის ხარჯავს; ადვილი წარმოსადგენია, რამდენს დახარჯავს ამავე დარაჯებზე 32 გუბერნია. როგორც ამბობენ, ეს „რეფორმა" განიზრახა შინაგან საქმეთა მინისტრმა, პლევეს მარჯვენა ხელმა დურნოვომ, რომელიც არავის არაფერს ეკითხება და ისე იქცევა, როგორც თვითმპყრობელი მეფე. კიევშიაც სამხედრო წესები ისე შემოიღეს, რომ მინისტრთა საბჭოს ამის შესახებ არაფერი გაუგია. ასევე მოიქცა დურნოვო ჩერნიგოვისა, სარატოვისა და პენზის გუბერნიებში სამხედრო წესების შემოღების დროს. ამრიგად, რუსეთში ორი მთავრობა ყოფილა: ერთი ვიტტესი, რომელიც განცხადებების წერის მეტს არას აკეთებს, და მეორე დურონოვოსი, რომელიც ისე ატრიალებს სახელმწიფო მანქანას, როგორც ნებავს.

◆ სევასტიანოვის ბრძანებით, პეტერბურგის ფოსტა ტელეგრაფის კანტორიდან **დაითხოვეს** 323 მოხელე. სევასტიანოვს მინისტრი დურნოვო მიეშველა და ყველა დათხოვნილი მოხელე სახაზინო სადგომიდან გამოაყვანინა.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კრებაზე პოლონეთისა და კავკასიის წარმომადგენლებმა ლაპარაკი აღძრეს ამ ქვეყნების **ავტონომიის შესახებ**. კრება თანაგრძნობით მიეგება ამას, მაგრამ, უდროობისა გამო, საკითხის განხილვა ცალკე კომისიას მიანდო.

◆ 23 საღამოთი პეტერბურგში ხმა გავრცელდა, რომ გრაფი ვიტტე სამსახურიდან გადადგა და მის ადგილზე გრაფი იგნატიევი დაინიშნაო.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში
აგრეთვე „ივერიის" რედაქციაშიაც
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი"-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 5